სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 20

2012 წლის 23 აპრილი

ქ. თბილისი

,, 2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" გენერალური დირექტორის 2012 წლის 5 აპრილის №14 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა დამეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუქნტის ,,ბ" ქვეპუნტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,, 2012 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" გენერალური დირექტორის 2012 წლის 5 აპრილის №14 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები:

1. მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. მათემატიკასა და ფიზიკაში პირველ ეტაპზე შეჯამდება პირველი და მეორე შესარჩევი ტურების შედეგები, რომლის მიხედვით შედგება მოსწავლეთა რეიტინგული სია და გამოქვეყნდება ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 27 აპრილისა.
2. ამოღებულ იქნას მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი.

3. მე-11 მუხლის მე-5 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. მათემატიკასა და ფიზიკაში პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ტურების შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში, ფონდი საპრეტენზიო განაცხადებს მიიღებს 3 მაისის 15:00-მდე. საპრეტენზიო განაცხადების განხილვისა და პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ტურებში მიღებული შედეგების გათვალისწინებით დგინდება მოსწავლეთა საბოლოო რეიტინგული სია ნაკრები გუნდის წევრებისა და რეზერვისტების მითითებით და ქვეყნდება ფონდის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 7 მაისისა.

4. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური